ცნობის ფურცელი

№ 1938 შაბათი, 28 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1938

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

განცხადება.

ტფილისის ქალაქის თავის მოადგილე

ამით აცნობებს ბ.ბ. ამომრჩეველთ, რომ მესამე საარჩევანო ნაწილის ხმოსნების არჩევანი დანიშნულია 1902 წლის 29 სექტემბრისათვის «ტფილისის სობრანიე»-ს საზაფხულო განყოფილებაში, მიხეილის ქუჩაზე. საარჩევნო კრებაში შესასვლელ ბილეთების მიღება შეიძლება გამგეობის კანცელარიაში 28 სექტემბრამდე. ხოლო რჩევნების დღეს «ტფ. სობრანიე»-ს სადგომში დილის 10 საათიდან კენჭის დათვლის დაწყებამდე. (ნ. 3—2)

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის საავადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები.** სასწავლებელი საგნები:

ანატომია ფიზიოლოგია;	ექიმები:	გ. ვ. სობოლევსკი ე. გ. ფეოდოროვი
მასსაჟის თეორია და ტეხნიკა პრაქტიკული მეცადინეობა	ექიმები:	ა. გ. მაღალაშვილი გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—11)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ბ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

პ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

პრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაპელისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 474. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

5 ოქტომბერს, 1902 წ., საღამოს 8 საათზე დანიშნულია

საზოგადო კრება

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა

განსახილველად დანიშნულია:

1. წარსული წლების ანგარიშები;
2. ამხანაგობის პირობის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვა.

კრება იქმნება ამხანაგობის სადგომში, ვანქის დი დქუჩაზე. (3—1)

ქართული თეატრი

(ტელეფონი 617)

კვირას, 29 სექტემბერს 1902 წელს
სეზონის დასაწყებლად
ქართულ დრამატიულ დასის მიერ
ავქსენტი ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემლად
წარმოდგენილი იქნება
პირველად მისი ახალი პიესა

I

ცისარტყელა

თანამედრ. კომ. 4 მოქმ.

II

აპოთეოზი

ვ. აბაშიძე და კ. მესხი წაიკითხავენ შესაფერ სიტყვებს და ლექსებს.

რიგი წარმოდგენისა:
1) აპოთეოზი
2) ცისარტყელა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რონელი, ჩერქეზიშვილისა და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ივ. ლანდი, ს. სკიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 6 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კ-დან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ-მდე, გალერეა 25 კ-დან 45 კ-მდე, შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „მუშაკი და ნებიერი“, „ფიგაროს ქორწინება“, „ცოდვის ვეერები“.

რეჟისორი ვ. გუნია.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ექიმი

ნ. ტ. მულინი

იღებს ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 11—1-დე. საღამოთი 4—6-მდე. სუდებნი ქუჩა, სახლი № 30.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, შაბათს, 28 სექტემბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

აიდა

ოპერა 4 მოქ. და 7 სურ. მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონები: ზორინისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა და სხვანი. ბატონები: ვასილიევი, პოლუიანოვი, იზმაილოვი, პეტროვი, პევცოვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი. **ხორმეისტერი** ა. გ. ზვერჟანსკი. **ბალეტმეისტერი** მენაბენი. **ადმინისტრატორი** მ. დურანდინი. დეკორაციები მხატვრის სუვოროვისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

ანონსი: ხვალ, კვირას, საოპერო წარმოდგენა არ იქნება. ორშაბათს, 30 სექტემბერს, გაიმართება მე-3-ე იაფ ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება **„დემონი“**.

სამშაბათს, 1 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება ოპ. „ლაკმე“.

სახელოვნო ნაწილის გამგე **ივ. ფითოევი.**
(ნ. 0—11)

ქ. ფოთში

გაიხსნა წიგნის მაღაზია საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთებით. ვღებულობთ ქართულ წიგნებს საკომისიოდ.

ძმები ხახანაშვილები.

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. მალე პარლამენტი შეიკრიბება და სასკოლო კანონ-პროექტის განხილვას შეუდგება. ამიტომ გაზეთებიც ბევრს ესწრენ ამ კანონ-პროექტზე. ყველანი ერთ-პირად აღიარებენ, რომ ამ კანონ-პროექტის დამტკიცება გაუჭირდება მთავრობასაო. თვით მთავრობის მომხრე პრესსაც კი ეჭვის თვალით უცქერის საქმეს. ოპოზიციის გაზეთებიც, ნამეტნავად „დეილი ნიუს“-ი და „მორნინგ ლიდერ“-ი, რაღა თქმა უნდა, იმ აზრისანი არიან, რომ მთავრობა გასაჭირშია ჩავარდნილიო. ამ გაზეთებმა ნამდვილად ომი გამოუცხადეს კანონ-პროექტს. „დეილი ნიუს“-ი იუწყება: მომავალ ოქტომბრის ნახევარში საქალაქო არჩევნები იქნება. ამიტომ ლიბერალური დასის კომიტეტები, თავისუფალ ეკლესიის საზოგადოებანი და სხვა ორგანიზაციები მანიფესტს ამზადებენ სასკოლო კანონ-პროექტის წინააღმდეგ და მომავალ არჩევნების დროს ამომრჩევლებს დაურიგებენო. „მორნინგ ლიდერ“-ი ამბობს, თითონ მთავრობის მომხრე დასშიაც ბევრია წინააღმდეგი სასკოლო კანონ-პროექტისაო; ჩემბერენის ოლქში, ბირმინჰამში, ნამდვილი „აჯანყება“ იწყებაო, მაგრამ ბალფური არაფერს ყურს არ უგდებს და უკან დახევას სულაც არა ჰფიქრობსო.

◆ გენერალ მიულერს, რომელიც ბურების რაზმში იბრძოდა, ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკის ოლქებიდან მოსულ მოხსენების თანახმად უანგარიშნია, რომ ბურებს სახლების და ფერმების დანგრევისა, საქონლის დახოცვისა და სხვა აოხრებისაგან 60 მილიონი გ. სტერლინგზე (600 მილ. მან.) მეტი ზარალი მოჰსვლიათ.

შეერთებული შტატები. ნიუ-იორკის შტატის დემოკრატიულ კონვენტს სამი დღის შფოთიან კამათის შემდეგ, სარატოგაში დაუდგენია: ქვა-ნახშირის მაღნები სახელმწიფოდ უნდა ჩამოერთვას პატრონებს და სადამოენო ტარიფიც დაუყოვნებლივ შეიცვალოსო. ამას გარდა დემოკრატების „პლატფორმა“ (პროგრამა) უსაყვედურებს რუზველტს, ტრესტებს კეთილის თვალით უცქერის და ტრესტების წინააღმდეგ გამოცემულ კანონების ასრულებას არა ცდილობსო. ამას გარდა, დემოკრატები რესპუბლიკელ დასს ამტყუნებენ, ფილიპეს კუნძულებზე ინგლისურ კოლონიურ პოლიტიკას ჰბაძვენო. დემოკრატები თხოულობენ კუნძულ კუბას დაუყოვნებლივ უნდა შევეწივნეთ შაქრისა და თამბაქოს ბაჟის დაკლებითაო. დასასრულ პროგრამა თანაგრძნობას უცხადებს რუმინიელ ურიებს. ფულის ვალიუტის თაობაზე დემოკრატებს ხმაც არ ამოუღია.

◆ რუზველტმა პარასკევს დეპეშით მადნის პატრონები და მადნის მუშების საზოგადოების პრეზიდენტი ჯონ მიჩელი სათათბიროდ მიიწვია; „ბაზარში ქვა-ნახშირის შოვნა აღარაა, ამერიკის ერი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნალიო“, მიეწერა რუზველტს. ხალხს თურმე ძლიერ გაეხარდა, რომ რუზველტი ამ საქმეში გაერია, სამაგიეროდ მადნის პატრონებს ძლიერ სწყენიათ. ეს თათბირი ვნების მეტს ვერას მოიტანს, ხალხი უფრო წაქეზდება, გამხნევდება და მადნის პატრონებს აღარას დაუთმობსო. თითონ მადნის პატრონებიც კი არა ჰფიქრობენ თურმე რისამე დათმობას. მაგრამ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რუზველტი არასდროს არ გაერეოდა ამ საქმეში, გამარჯვების იმედი რომ არა ჰქონოდაო.

გუშინდელ დეპეშებში ეწერა: რუზველტის შუამდგომლობამ ვერ გასჭრაო.

ავსტრო-უნგრეთი. „ძინიკ პოლსკი“ იუწყება, რეიხსრატის და გალიციისა და ბუკოვინას ლანდტაგის დეპუტატი—რუსინები ამას წინად ლვოვში შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს, პოლონელებთან შეთანხმება ჩამოვაგდოთ, თუ არაო. დეპუტატების უმეტესობა ამ შეთანხმების მომხრე გამოდგა; ამიტომ დეპუტატები ვასილკო და სტაცკი ვენაში წავიდნენ კერბერთან. დეპუტატები სთხოვენ პირველ მინისტრს, რომ ითავოს და რუსინები პოლონელებთან შეათანხმოს.

საფრანგეთი. მალე პარლამენტის სესსია დაიწყება. გაზეთები სწერენ:

რადგანაც პალატას ბიუროს განახლება არ მოუხდება, ამიტომ დაუყოვნებლივ მორიგ საქმეების განხილვას შეუდგება. რა წამს სესსია გაიხსნება, პირველი მინისტრი კომბი წინადადებას შეიტანს, რომ პალატა კონგრეგაციის სკოლების დახურვის თაობაზე შეტანილ ინტერპელიაციების განხილვას შეუდგეს. ამ ნაირი ინტერპელიაცია 11-ია წარდგენილი: 7—პარლამენტის დათხოვნამდეა წარდგენილი და 4-იც ზაფხულში. როცა ამ ინტერპელიაციების თაობაზე კამათი დასრულდება, პირველი მინისტრი კანონ-პროექტს წარადგენს იმის შესახებ, რომ რამდენსამე ნება-დაურთველ ვაჟების კონგრეგაციას საფრანგეთში დაბინავების ნება მიეცესო. ქალების კონგრეგაციების თაობაზე შედგენილი კანონ-პროექტი მერე იქნება წარდგენილი. უნდა ვსთქვათ, რომ ქალების კონგრეგაციებს მრავალი თხოვნა შეუტანიათ. სესიის დაწყების უმალვე ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის პროექტს წარადგენს, მაგრამ კამათი ბიუჯეტზე დეკემბრის დამდეგზე ადრე არ დაიწყება, რადგანაც პროექტი ჯერ საბიუჯეტო კომისიამ უნდა განიხილოს. რადგანაც კონგრეგაციების თაობაზე შედგენილი კანონ-პროექტებიც წინ-და-წინ კომისიას გადაეცემა, ამიტომ ხსენებულ ინტერპელიაციების განხილვის შემდეგ თავისუფალი დრო დარჩება, პალატაც ისარგებლებს ამ დროთი და დეპუტატთა რწმუნების შემოწმებას დაასრულებს.

◆ „რუსკ. ვედომოსტ.“-ის კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს გვიამბობს გედისტების მოქმედებაზე:

„გედისტებმა კონგრესი მოახდინეს ისუდენში. კონგრესის დროს კიდევ ერთხელ

დამტკიცდა, რომ გედისტები სულაც არა ჰფიქრობენ ჟორესის პარტიასთან შეთანხმებას. პირიქით, უფრო და უფრო ამაყად უცქერიან ამ პარტიას, წმინდა ბურჟუაზიული პარტიაო. გედისტებს ძლიერ მოაქვთ თავი იმით, რომ ბოლოინდელ საკანონ-მდებლო არჩევნის დროს 500 საკუთარი კანდიდატი დაასახელეს და ბურჟუაზიულ პარტიებს ახლოც არ მიეკარნენ. გედისტები, სხვათა შორის, მთავრობის ანტიკლერიკალურ პოლიტიკასაც ძლიერ მკაცრად ჰკიცხავენ ამ პოლიტიკას, იმათის აზრით, არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან, რადგანაც რადიკალები მეტად სუსტად და უხერხულად ებრძვიან კლერიკალებსაო. ეს ბრძოლა მხოლოდ თვალებს უხვევს ხალხსა და სხვა, უფრო საჭირო და მნიშვნელოვან, საქმეებს ავიწყებსო. გედისტები, ცოტა არ იყოს, მართალს ამბობენ. რადიკალები და თვით ჟორესის მომხრეები ისე ძლიერ გაიტაცა კლერიკალებთან ბრძოლამ, რომ ესენი მშრომელ ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ეხლა უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე წინად აქცევდნენ. ისიც ჰკუას ახლოა, რომ ორიოდე საკონგრეგაციო სკოლის დახურვით კლერიკალებსაც ბევრს ვერას დააკლებენ.„

ახალი ამბავი

◆ ახლო მომავალში ამიერ-კავკასიაში მოელიან გზათა **მინისტრს თავ. მ. ი. ხილკოვს**.

◆ 2 ოქტომბერს **ტფილისში ჩამოვა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი** ბ-ნი ერმოლოვი. ტფილისში მინისტრი სამს დღეს დაჰყოფს. მიწათ-მოქმედების სამინისტროს ადგილობრივმა დაწესებულებებმა უნდა წარუდგინონ მინისტრს მოხსენებანი ამ დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ.

◆ ორშაბათს, 30 სექტემბერს, ბათუმში **ჩამოვა გზათა მინისტრის ამხანაგის** თანამდებობის ამსრულებელი ა. ს. ერმოლოვი, რომელიც იქიდან ბაქოს წავა.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსს** ი. კ. ივანოვსკის, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგშია, 12 ოქტომბერს მოელიან ტფილისში.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსის თანაშემწე ი. ს. **შაიკევიჩი ტფილისში დაბრუნდა** და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ კავკასიის სამოსწავლო **ოლქის მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი** 26 სექტემბერს სასწავლებლების სარევიზიოდ წავიდა ბაქოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. რევიზიის შემდეგ ბ-ნი ზავადსკი პეტერბურგს წავა.

◆ ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებელში, როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, წელს უადგილობისა გამო 400 **მთხოვნელს ეთქვა უარი**. აშკარაა ამის შემდეგ, რომ ახალის სასწავლებლის დაარსება ტფილისში დიდად საჭიროა.

◆ ტფილისის თვით-მმართველობამ, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსება განიზრახა. საერო განათლების სამინისტრომ შეატყობინა ამას წინად ქალაქის გამგეობას, რომ პროგიმნაზიის ნაცვლად უკეთესი იქნება **დაარსდეს საშუალო საქალაქო სასწავლებელიო**. მთავრობა დაარსებს ასეთ სასწავლებელს, თუ ქალაქი ყოველ წლიურ შესანახ ხარჯის ერთს მესამედს იკისრებსო. გამგეობამ ეს საქმე განიხილა უკანასკნელს სხდომაზე და გადასწყვიტა, გადასცეს იგი განსახილველად ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას.

◆ ორშაბათს, 30 სექტემბერს, **მოხდება ქალაქის საბჭოს კრება**. საბჭომ ამ დღეს უნდა განიხილოს წინანდელ კრებაზე განუხილველი საქმეები.

◆ ტფილისის გუბერნიის ბეითალთა ინსპექტორმა, საქონლის ჭირთან საბრძოლველად განკარგულება მოახდინა, რომ საქონლის გადარეკა-გადმორეკის დროს პატრონებმა **ბეითალთაგან მოწმობანი** უნდა აიღონ ხოლმე. ასეთმა განკარგულებამ მეტად შეავიწროვა მეურმეები, რის გამო მაზრის უფროსმა თავ. ჯანდიერმა სთხოვა ინსპექტორს ყურადღება მიექცია მეურმეთა გაჭირვებულ მდგომარეობისათვის. გუშინ ბეითალთა ინსპექტორმა შეატყობინა მაზრის უფროსს, რომ მეურმეებს შეუძლიანთ ბეითლის მოწმობის ნაცვლად მამასახლისის მოწმობა იქონიონო.

◆ ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად** სასწავლებელთა გამგე კომისიამ დანიშნა ბორჯომის სახელოსნო სკოლის გამგე ბ-ნი პობედიმოვი. დირექტორის ადგილი 13 კაცმა ითხოვა, სხვათა შორის, ამავე სასწავლებლის დირექტორად ნამყოფმა ბ-ნმა ოჰანეზოვმაც. ამავე დღეს გამგე კომისიამ ქალაქის სკოლების მასწავლებლებად დანიშნა ქ-ნნი მასლოვისა, ყაზარაშვილისა და ფარსეგოვისა.

◆ გუშინ, 27 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ **წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად** 26 სექტემბერს არჩეულ ხმოსანთა სია.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების გამგეობაში ერთმა წევრმა განცხადება შეიტანა **საზოგადოების უმოქმედობის** შესახებ. თავის განცხადებაში ეს წევრი აღნიშნავს, რომ საზოგადოებას ახალგაზრდა მკურნალნი არ ეკარებიან, იმის საქმეებში არ იღებენ მონაწილეობას და არა კითხულობენ მოხსენებებსაო. წევრს საჭიროდ მიაჩნია საზოგადოების მოქმედების ასე თუ ისე გამოცოცხლება.

◆ გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ახლად დაარსებულ ორ **თავშესაფარს აკურთხებენ** 6 ოქტომბერს.

◆ 29 სექტემბერს გორში უნდა მოხდეს **ქალაქის მოურავის არჩევანი**.

◆ საგუბერნიო მკურნალს ბ ნ ქიქოძეს ექიმ ინაშვილისათვის, რომელიც აცხადებდა, **ჭლექის წამალი** მოვიგონეო, მოუთხოვნია ცნობები ამ წამლის შესახებ. ბ-ნი ქიქოძე სთხოვს შეატყობინოს: რა საშუალება გამოიგონა ჭლექის მოსარჩენად, ახალია იგი თუ ძველი, რისაგან შესდგება და სხვა.

◆ როგორც შევიტყეთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზას აზრადა აქვს **ბაკურიანის შტოზე** შეამციროს სახალხო მატარებლების რიცხვი. მიზეზი მგზავრების სიმცირეა.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ჩრდილოეთ-ამერიკის შტატების მიერ გამოგზავნილი **აგრონომი ბოსსე**. ბოსსე ჰსურს გაიცნოს ადგილობრივ ხეების კულტურა.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მზრუნველის კანცელარიის მოხელეებს **ჯამაგირები მოემატოთ**. როგორც პეტერბურგიდან უცნობებიათ, სამინისტროს ეს თხოვნა გადაუდვია იმ დრომდე, ვიდრე ყველა სამოსწავლო მზრუნველთა კანცელარიებისათვის არ გადასწყდება საქმე.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებლის **მეორე ინსპექტორად დანიშნულ იქმნა** პირველ გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი კარპინსკი.

◆ დონის ნახიჩევანში, როგორც „მშაკ“-ს ატყობინებენ, **სომეხთა მწერლის ნალბანდიანისთვის ძეგლი დადგამთ**. აკურთხეს ძეგლი 24 სექტემბერს.

◆ **ქალთა პირველ გიმნაზიის** მთავრობას განუზრახავს პარალელურ კლასებისათვის დაიქირაოს ცალკე სადგომი გოლოვინის პროსპექტზე, მირზოევის სახლში.

◆ 25 სექტემბერს, ღამის 12 საათზე, ნავთლუღში კოშკელაშვილს, რომელიც საქონელს მწყემსავდა, თავს დასცემია 4 ცხენოსანი შეიარაღებული კაცი. წაურთმევიათ 12 სული საქონელი. კოშკელაშვილს წინააღმდეგობა ვერ გაუწევია უიარაღობისა გამო. ცოტა ხანს შემდეგ მოუშველებია რამდენიმე ამხანაგი და კეტებით გამოსდგომიან და მას აქეთ აღარ დაბრუნებულან. ჰფიქრობენ, ბოროტ-მოქმედებმა დახოცეს მწყემსებიო.

◆ ამას წინად აღვნიშნეთ, რომ 21 სექტემბერს 9 შეიარაღებული თათარი თავს დაეცა საგარეჯოს მცხოვრებს სოლომონ გელიკურაშვილს, რომელსაც 20 სული საქონელი წაართვესო. ავაზაკები, როგორც ეხლა გვატყობინებენ, იმავე ღამეს თავს დასცემიან სიღნაღის მაზრის იორ-მუღანლოს მწყემსებს და ბევრი საქონელი გაურეკიათ. როგორც მწყემსებს უთქვამთ, ბოროტ-მოქმედთაგან 5 კაცი ბერდანკებით ყოფილა შეიარაღებული, სამი „ვინტოვკებით“ და ერთიც უიარაღო ყოფილა, პირ-ახვეული. მეორე დღეს ბოროტ-მოქმედთათვის გამოუდევნებიათ 6 შეიარაღებული ჩაფარი, მაგრამ დღევანდლამდე კვალისათვის ვერ მიუგნიათ. ასეთ წვალებაშია ყაჩაღებისაგან თითქმის ყოველ დღე უიარაღო ხალხი.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 22 სექტემბერს ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების სადგომში, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მთავრობას კერძო კრება ჰქონდა. მიწვეულნი იყვნენ მეურნეობაში დახელოვნებულნი ზოგი სოფლის მემამულე და სასწავლებელში მყოფ მოსწავლეთა მშობლები ზოგიერთა სამეურნეო საგნების განსამარტავ-გამოსაკვლევად. თავმჯდომარეობდა სასწავლებლის მზრუნველი დ. ბაქრაძე. სხვათა შორის, კრებას დაესწრნენ კირ. ლორთქიფანიძე, ტფილისის სააბრეშუმო სადგურის ინსტრუქტორი ი. ქუთათელაძე და სხვანი. როგორც თავმჯდომარის სიტყვებიდან სჩანს, ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში ასწავლიან: მეღვინეობას, მევენახეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და საქონლისა და ფრინველების მოშენებას. ყმაწვილები იმდენად ითვისებენ ამ საგნებს, რამდენათაც შეძლება და დრო ნებას აძლევთო. 2—4 საათი გასტანა ამ კრების სხდომამ და დამსწრენი სულ იმის სჯა-ბაასში იყვნენ, რომელი დარგი მეურნეობისა უფრო გასავრცელებელია სკოლის შემწეობითო. ზოგი ამტკიცებდა— ჩვენს ქვეყანაში ყველა დარგის მეურნეობა შეიძლება ერთნაირად კარგად გავრცელდესო და არ შეიძლება ერთის გაფართოვება და მეორის ფრთების შეკვეცაო; ამისათვის სამეურნეო სკოლა უნდა სცდილობდეს ყველა დარგის მეურნეობის სავსებით გავრცელებასაო. ზოგი კი ამტკიცებდა: მევენახეობა ძველთაგან-ძველი კულტურაა ჩვენი ქვეყნისა და ამას უფრო მივაქციოთ ჩვენი ყურადღებაო .. და სხვ. ზოგმა ისიც აღნიშნა, რომ ქუთაისის სამეურნეო სკოლაში სწავლა დამთავრებული არამც თუ შინ არა ბრუნდება თავისს სოფელში და თავის ცოდნას თავისს კუთხეს არ ახმარებს, პირ-იქით, სულ ანებებს თავს და რკინის გზაში კონდუქტორად მიდისო. ამით ვითომ ის ახსნეს, რომ სამეურნეო სასწავლებელში შრომა-საქმიანობა კარგად არ არის დაყენებულიო.

კრება ისე დაიშალა, საერთო აზრს ვერ დაადგნენ დამსწრენი.

◆ თავად-აზნაურთა დეპუტაცია, რომელიც ბანკის საქმეების გამო თავად-აზნაურთა კრებამ აირჩია, როგორც გვითხრეს, ოქტომბრის შუა რიცხვებში პეტერბურგს მიემგზავრება. დეპუტაციაში არიან: გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი კამერჰერი თავ. ს. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოურავი დ. ლორთქიფანიძე (ზედამხედველი კომიტეტის წევრია) და ბანკის მმართველობის თავმჯდომარე ბ-ნი მელნიკოვი.

◆ ბალახვანის ქუჩა ისე გაფუჭებული, რომ მიმოსვლა შეწყვეტილია. ამის გამო ქალაქის გამგეობა იძულებული შეიქმნა საყასბო სალორიის აგარაკიდან წყალთა შუა გადმოეტანა დროებით, სადაც ძველი საყასბო იყო. გარდა ამისა, სალორიის ტყეში ქალაქის მიერ გაყიდული შეშა ამ გზის წყალობით გაუტანელი რჩება და ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე მოდიან შეშის მყიდველები საჩივრით: ან შეშა ჩაგვაბარეთ, ან ფული დაგვიბრუნეთ უკანვეო. გზის მოიჯარადრეებმა სთხოვეს გამგეობას, შემოსავლელ გზაზე ხიდის გასაკეთებლად ხეები დაგვითმეთ სალორიის ტყიდანაო; ქალაქმაც დაუთმო, მაგრამ არც შემოსავლელი გზა გაკეთდა და ძველიც დაიკეტა. ერთის სიტყვით, მოიჯარადრეების სიცრუესა და თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ნუ თუ არავინ მიაქცევს ყურადღებას ამ გარემოებას!..

◆ საერო განათლების სამინისტროს ნება დაურთავს დაარსდეს ქუთაისში მეორე საქალაქო სასწავლებელი და ხარჯიც თვითონ უკისრია, მხოლოდ ქალაქის მიერ ინსპექტორის თანამდებობაზე დასახელებულის ბ-ნ პეტრიაშვილის მაგივრად დაუნიშნავთ ეხლანდელ საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი როსიკი.

◆ ქალების საეპარქიო სასწავლებლის ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელს ბ-ნ ზგურსკის თავი დაუნებებია მასწავლებლობისათვის. იმის მაგივრად ამდენ ხანს დროებით ასწავლიდა ივ. ილ. ჯაფარიძე, რომელიც ამას წინად ქალაქის საბჭოს მდივნად აირჩიეს. ჯერ-ჯერობით ეს ადგილი თავისუფალია.

◆ ქალაქის ბეითალმა ბ-ნმა ლანგმა ერთს ადგილობრივ ყასაბს აღმოუჩინა ტრიხინიანი დაკლული ღორი, რომელიც მაშინვე ჩამოართვეს.

◆ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში შესვლის სურვილი 75 ყმაწვილს განუცხადებია. თავისუფალი ადგილი-კი 25-მდე ყოფილა, მაგრამ სასწავლებლის გამგეს ბ-ნ მკურნალს იმდენი უმაცადინია სასწავლებლის მზრუნველის წინაშე, 48 ყმაწვილი მიუღიათ, დანარჩენებისათვის-კი, უადგილობისა გამო, მიღებაზე უარი გამოუცხადებიათ და კანდიდატებად დაუნიშნავთ.

◆ 22 სექტემბერს პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა ქუთაისის თეატრში. წარმოადგინეს—სუმბათაშვილის 4 მოქ. დრამა „ბორკილი“ და „დედის ერთა“, 1 მოქ. კომედია გუნიასი. ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი თეატრის საუკეთესო მსახიობებმა: ტ. აბაშიძისამ, ნ. ჩხეიძისამ, ქ. ივანიძემ, კ. ყიფიანმა, ვლ. ალექსი-მესხიშვილმა, ნუმომ და სხვებმა.

წარმოდგენამ საზოგადოთ კარგად ჩაიარა. თეატრი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით.

◆ ივანოვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, 24 სექტებერს ღამით გატეხილის ფანჯრიდან შესულან და გაუქურდავთ კერძო ვექილი ხარიტონ ფაჩულია. წაუღიათ: ოქროს საათი ძეწკვით, ოთხ თუმნამდე ღირებული, ფული და კანონთა კრებულის მე-IX ტომი. ხარიტონ ფაჩულიას დაუპატიჟებელი სტუმრების მოსვლა გაუგია, ხუთ-ჯერ რევოლვერიც დაუცლია, მაგრამ ახლო-მახლო პოლიციელის ჰაჰანებაც-კი არსაიდან ისმოდა თურმე.

რუსეთის ქრონიკა

◆ სამკურნალო დეპარტამენტმა შეიმუშავა წესები ქალების მეაფთიაქეს შეგირდებად (аптекарскія ученицы) მიღებისა. ახალის წესების ძალით შეგირდებათ შეიძლება მიღებულ იქმნენ ისინი, ვისაც სრული კურსი აქვს დამთავრებული დედათა ინსტიტუტებსა და საეპარქიო სასწავლებლებში. მხოლოდ უნდა წარადგინონ მოწმობა ლათინურის ენის ცოდნისა. საჭიროა იმდენი იცოდნენ, რამდენსაც გიმნაზიის მეხუთე კლასამდე გადიან. იმათ-კი, ვისაც დასახელებულ სასწავლებლებში კურსი არ ექმნებათ დამთავრებული, ეგზამენი უნდა დაიჭირონ ვაჟთა გიმნაზიის ოთხის კლასის საგნებში (უბერძნულოდ), ან შინა მასწავლებლის წოდებაზე. მოწმობა ლათინურის ენის ცოდნისა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც უნდა წარადგინონ. აფთიაქში შეგირდად ყოფნის ვადა სამი წელიწადია; კურს დამთავრებულთა ვადა შეიძლება $2^{1}/_{2}$ წლამდე შემცირდეს.

◆ იმ სატეხნიკო დაწესებულებებში, რომელნიც საინტენდანტო უწყებას ეკუთვნის, რვა საათის მუშაობა იქნა შემოღებული. სადილის დრო არ არის ამაში ჩათვლილი.

◆ როგორც ვუწყით, ოდესაში შავის ჭირის მსგავსი საეჭვო ავადმყოფობა გაჩნდა. სასტიკი ზომები მიიღეს ქალაქის გასასუფთავებლად და ჭირის მოსასპობად. ადმინისტრაციას მცხოვრებნიც ეხმარებიან და ამ საქმისათვის ფულს არ იშურებენ. ექვს დღეში მცხოვრებთა შორის 18,300 მანეთი შეიკრიბა. ამავე საქმისათვის ფინანსთა მინისტრმა ქალაქს $^{1}/_{2}$ მილიონი მანეთი გადასცა.

◆ უწმ. სინოდმა განმარტა, რომ საეკკლესიო სამასწავლებლო სკოლები პირდაპირ საეპარქიო მღვდელ-მთავარს ემორჩილებიანო.

◆ საბეითალო გამგეობა შეუდგა იმ წესების გადათვალიერებას, რომელიც შინაურ საქონლის გადაყვან-გადმოყვანას შეეხება.

◆ რკინის გზებმა ხელ-ახლა აღძრეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მოსამსახურეებს ყოველ ხუთის წლის შემდეგ ჯამაგირები ემატებოდეთ.

◆ გზათა სამინისტრო ჰფიქრობს განსაკუთრებული თავშესაფარები გამართოს იმათთვის, ვინც რკინის გზებზე დაშავდება. დაშავებულთ ამ თავშესაფარებში დროებით შეინახავენ.

◆ როგორც ვუწყით, პოლონელებმა (გერმანიასა, რუსეთსა და ავსტრიაში) ბოიკოტი გაუმართეს გერმანელთა ნაწარმოებს.

გაზეთების სიტყვით გარშავაში, მაგალითად, ადგილობრივმა ყდის მკეთებლებმა სრულიად განდევნეს ამ საქმეში გერმანელთა ნაწარმოები.

✦ რკინის გზაზე ბევრი ისეთი მოხელეა, რომელთაც სახელმწიფო სამსახურის უფლება არა აქვთ. მთავრობამ განიზრახა ალა, ამათაც მიანიჭოს ეს უფლება. გზათა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია ეს საქმე.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება.

კრება დაიწყო (ტფილისის საბჭოს დარბაზში) თორმეტის ნახევარზე გუბერნიის მარშლის თ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით.

სანამ კრების საგნების განხილვას შეუდგებოდნენ, გუბერნიის მარშალმა მოახსენა თავად აზნაურთა კრებულს, თუ როგორ მიიღეს თავად-აზნაურობის საგანგებო დეპუტაცია მოსკოვსა და პეტერბურგში, და აგრეთვე ახალი უმაღლესი ბრძანება, რომელიც სცვლის იუბილეის დროს ნაბოძებ რესკრიპტის ერთ მუხლს, სახელდობრ იმას, რომლის ძალით ბანკის შემოსავლის განაწილება უნდა წარდგენოდა დასამტკიცებლათ კავკასიის მთავარმართებელს. ახალის ბრძანების ძალით, თავად-აზნაურთა კრებას ექმნება იგივე უფლება ბანკის შემოსავლის განაწილების შესახებ, როგორიც საბანკო კრებას ჰქონდა. შემდეგ გუბერნიის მარშალმა წინადადება მისცა კრებას დეპეშით უქვეშევრდომილესი გრძნობები გამოუცხადონ ხელმწიფე იმპერატორს და სალამი უძღვნან პეტერბურგისა და მოსკოვის თავად-აზნაურობას. შემდეგ შეუდგნენ საქმეების განხილვასაც.

ჯერ წაიკითხეს საგანგებო კომისიის პროექტი ბანკის შემოსავლის განაწილებისა და მოხსენება, სადაც დასაბუთებული იყო განაწილების წარმოდგენილი წესი. შემდეგ წაიკითხეს კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანის თხოვნა—ყოველწლიური შემწეობა დაუნიშნეთ მომავალ ქართულ საქალებო სკოლასაო, და ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორის ბ. პავლოვის განცხადება—წინამძღვარიანთ კარის სკოლა სასარგებლო დაწესებულებაა და საჭიროა თავად-აზნაურობა დაეხმაროს 6000 მ. წლიურად და 5000 ერთბაშადო. წაკითხულ იქმნა აგრეთვე ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების თხოვნა—ქართულ სკოლას 300 მანეთი შემწეობა აღმოუჩინეთო.

ამ ქაღალდების წაკითხვის შემდეგ გუბერნიის მარშალი შეეკითხა კრებას, თუ ვის რა სათქმელი აქვს წარმოდგენილ პროექტისა და წაკითხულ თხოვნების შესახებ. **ბ. ა. ფურცელაძე** არ არის თანახმა კომისიის პროექტისა, რადგანაც მას, ბ. ფურცელაძეს, უპირველეს საჭიროებად სათავად-აზნაურო სკოლის შენობის დამთავრება მიაჩნია. სკოლის კომიტეტს ესაჭიროება 50,000 მანეთი და უნდა მივცეთო. **კრების თავმჯდომარე** ამბობს, რომ საგანგებო კომისიამ ვერ იდო თავზე ასეთ მძიმე კითხვის (სკოლის შენობის) გადაწყვეტა და ამიტომ შემოიტანა წინადადება გადაიდოს იგი მომავალ მორიგ კრებამდე, როდესაც კითხვაც უკედ იქნება შესწავლილი და მეტი თავად-აზნაურებიც დაესწრება. მაგრამ თუ კრების სურვილი იქნება, მას შეუძლია ეხლავე გადასწყვიტოს ეს კითხვა. ამიტომ ჯერ უნდა გადაწყდეს, ეხლავე განხილულ იქნეს კითხვა, თუ გადაიდოს მორიგ კრებამდე.

ამ საკითხის გამო დაწყებულმა კამათმა რამდენსამე ხანს გასტანა და ბოლოს სხდომა შეწყვეტილ იქმნა დღეს 10 საათამდე.

რა ტიპის სკოლა დავიარსოთ?

(წერილი ქუთაისიდან)

გადაწყდა კითხვა, რას მოვახმაროთ უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანეთი; როგორც მოსალოდნელი იყო, სკოლამ აჯობა სტიპენდიებს. ეხლა ის-ღა დაგვრჩენია თავსამტვრევად, როგორი სკოლა დავიარსოთ ამ ფულით. სკოლის ტიპის ამოსარჩევად დანიშნულს კომისიას ოთხგვარ სასწავლებლის შესახებ აქვს სჯა-ბაასი: სააზნაურო გიმნაზია მოსამზადებელ განყოფილებით, საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, რამდენიმე დაბალი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით და საქალებო სკოლა; ამათგან, როგორც გავიგე, უმეტესობა პირველის მომხრეა.

თქმა არ უნდა, ყველა ეს სკოლები საჭიროა ჩვენთვის, მაგრამ აქვე იბადება კითხვა, რომელი უფრო საჭირო და მასთან შესაძლებელია ჩვენთვის? კარგია, რასაკვირველია, სააზნაურო გიმნაზია, მაგრამ ყოველწლიური 20,000 მანეთით ჩვენ დიდხანს ვერ გავხსნით გიმნაზიას და, რომ გავხსნათ, ვერც შევინახავთ. რვა კლასიანი გიმნაზიის შენახვას ყოველ წლიურად დასჭირდება 50,000—60,000 მანეთი. ჩვენ გვაქვს ჯერჯერობით ყოველ-წლიურად 20,000 მანეთი. ვსთქვათ, გიმნაზიაში თავი მოიყარა 400—500 მოწაფემ,—რაც 10—12 წლამდე შეუძლებელია,—და თითომ შემოიტანა წლიურად სწავლის ფასი 40—50 მანეთი, რაც შეადგენს 16,000—25,000 მანეთს. აქედან, როგორც სხვა საშუალო სასწავლებლებშია, უთუოდ ერთს 20% განათავისუფლებენ სწავლის ფულისაგან, რაც შეადგენს წლიურად 4,000—5,000 მანეთს; ასე რომ—ყოველ წლიური შემოსავალი გვექნება სწავლის ფულიდან, ვსთქვათ, სულ დიდი—16,000—20,000 მანეთი; ესე იგი ყოველწლიური წყარო გვექნება სულ 36,000—40,000 მანეთი. დანარჩენი 20,000 მანეთიკი რომელი წყაროდან უნდა ვიშოვოთ? ამის შოვნა შეუძლებელია და მაშ გიმნაზიის დაარსებაც შეუძლებლად მიმაჩნია. მასთან ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩვენი სოფლელი ღარიბი აზნაური ვერც შესძლებს 50 მანეთი იხადოს მარტო სწავლის ფულად. ამას თუ შესძლებს, ისევ მდიდარი, ან ქალაქში მხოვრები, რომელსაც შვილი თავისს სახლში ჰყავს. ამგვარად ის კეთილი აზრი, რომ უმაღლესად ნაბოძები ფულით თავად-აზნაურთა, უღარიბესმა ნაწილმა ისარგებლოს, ისევ განუხორციელებელი დაგვრჩება.

თითქმის ამგვარსავე პირობებშია საშუალო სამეურნეო სასწავლებლის გახსნაც, თუ, რასაკვირველია, სკოლას რიგიანად მოვაწყობთ; ცუდათ მოწყობილ სკოლას-კი ის სჯობია, სულაც არ გავხსნათ, რომ ჩვენი საზოგადოება სასოწარკვეთილებაში არ ჩავაგდოთ და მეურნეობაზე გული არ ავაცრუვებინოთ, კრილოვის „ფილოსოფოსი და მებოსტნე"-სი არ იყოს.

ამგვარად ჩვენი ყოველ წლიური 20,000 მანეთით ვერც გიმნაზიას გავხსნით და ვერც საშუალო სამეურნეო სასწავლებელს, და რომ გავხსნათ, ეს მაინც იქნება, რომ სასურველად ვერ ვისარგებლებთ.

მაშ დაგვრჩენია კიდევ ორი ტიპი: მაზრებში რამდენისამე დაბალი სასწავლებლის გახსნა სამეურნეო განყოფილებით და ქალების სკოლა. ამ ორში, სიმართლე მოგახსენოთ, კი აღარ ვიცი, რომელს მივცე უპირატესობა: ორივე ძლიერ საჭიროა, ორივე მეტად სასარგებლო და თანაც ორივ ადვილად შესაძლებელი. მაგრამ, რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია, ცალ ცალკე დავაარსოთ ქალების და ვაჟების სასწავლებლები, ამიტომ კარგი იქმნება, ეგ ორი სასწავლებელი შევაერთოთ; ესე იგი, დავაარსოთ სამი ან ოთხი ორკლასიანი სასწავლებელი ექვსი წლის კურსით, რომელშიაც მეურნეობასა და მეოჯახეობას საპატიო ადგილი ექმნება მინიჭებული, მხოლოდ ისე კი, რომ სასწავლებელში ქალებსაც ექმნეს ადგილი და ვაჟებსაც. „ქალებსაც"-მეთქი, რომ ვამბობ პირველად, ამით იმის თქმა მსურს, რომ ქალებს სასწავლებელში უპირატესობა მიენიჭოთ, და აი, რატომ: ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენი სოფლელი თავად-აზნაურთა ქალები სრულიად უსწავლელნი რჩებიან: არ იციან მათ არც წერა, არც კითხვა, არც მეოჯახეობა. არამც თუ ღარიბი, მდიდარი აზნაურიც არ სთვლის თავს მოვალედ ქალს სწავლა მისცეს. სულ დიდი რომ ვსთქვათ, სოფლელ თავად-აზნაურთა ქალებიდან 3%—5% თუ ეღირსება სასწავლებელში შესვლას, 95% კი სრულიად უვიცად რჩება.

ამიტომ მიუცილებელი საჭიროა, რომ ქალებზე, თუ მეტი არა, იმდენი მაინც ვიზრუნოთ, რამდენსაც ვაჟებზე ვზრუნავთ; და თუ ისეთ სასწავლებელს დავაარსებთ, როგორიც ზევითა მაქვს ნაჩვენები, ჩვენს მიზანს ცოტათი მაინც მივაღწევთ.

თითო ასეთ სასწავლებლის შენახვას ყოველ წლიურად დასჭირდება 5,000—6,000 მანეთი; ასე რომ სწავლაც რომ სრულიად უფასო იქმნეს, უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთით ოთხ სასწავლებელს გაჰხსნით. თუ ეს ფული არ გვეყოფა და—შეიძლება, რომ სწავლის ფასიც შემოვიღოთ, წლიურად, მაგალითად, 5 მანეთი, რაც, თუ სკოლაში 240 მოწაფე იქმნა (თითო განყოფილებაში რომ 40 მოწაფე ვიანგარიშოთ), შეადგენს 1200 მანეთს. ვსთქვათ, თავად-აზნაურთა შვილებით ვერ შევავსეთ სკოლები, მაშინ შეგვიძლია გლეხებიც მივიღოთ, ამას არავინ დაგვიშლის. ასე რომ—თითო სკოლას ექმნება ყოველ-წლიური შემოსავლის წყარო 6200 მანეთი; ასეთი ფულით კი, ჩემი ფიქრით, სკოლას თამამად შეეძლება არსებობა. რაც შეეხება სკოლებისთვის ადგილისა და შენობის შეძენას, მე მგონია, პირველს უსასყიდლოთაც იშოვის კაცი, თუ, რასაკვირველია, მაინცა და-მაინც ქალაქებში არ მოვინდომებთ სკოლების გამოქიმვას: თუმცა ძლიერ ღარიბი ვარ, მაგრამ, თუ სკოლას, მაგალითად, ჩემს სოფელში გახსნიან, ორსა და სამს ქცევა ადგილს სწორეთ არ დავიშურებ ამ კეთილი საქმისათვის, და ვინც შეძლებულია, ის მეტსაც გაიმეტებს. მაგრამ, ასეც რომ არ მოხდეს, მოვიცადოთ ერთ ორს წელიწადს და უმაღლესად ნაბოძები ფულით, რაც ორი წლის განმავლობაში 40,000 მანეთს შეადგენს, შევიძინოთ ადგილიცა და შენობაც. ამგვარი სკოლები, თუ ისინი სოფლებში იქმნებიან დაარსებულს, დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო თავად-აზნაურობას, არამედ მთელ სოფლებს.

მაშ ვუსურვებ ჩვენს კომისიას საქმის კარგათ აწონ-დაწონვას.

დონ-ვალიანი.

წერილი ლეჩხუმიდან

ქურდობა.—სიცივეები

სხვა უბედურებასთან ლეჩხუმ-სვანეთს ქურდობაც არ აკლია. ისეა ეხლა გახშირებული აქეთ ქურდობა, რომ პატრონმა, თუ ცხენი ეზოში ჰყავს დაბმული, ღამე გულის ფანცქალით უნდა გაატაროს, ვაი თუ ჩემი ცხენი დილას გაქანებული იქნესო. ლაშხეთში (სადადიანო სვანეთი) ამზაფხულს, სულ ცოტა, ათი-თხუთმეტი ცხენი მაინც დაიკარგა (ლაშხეთი ერთი სამმასახლისოა) საბრალო პატრონნი დადიოდნენ იქით-აქეთ, ეძებდნენ დაკარგულ ცხენებს, მაგრამ... აქაური ქურდები ძალიან მოხერხებულნი არიან. იმათ განსაკუთრებული ბელადი ჰყავთ, რომლის ბრძანებითაც იპარავენ ყველაფერს. შეჰკრებენ რა ცხენებს, მიჰგვრიან თავიანთ უფროსს, უფროსი გადასცემს მეორე პარტიას და უჩვენებს გზას. ვინიცობაა, თუ აღმოჩნდა ნაქურდალი და საჩივარი შესდგა, პატარა ქურდი აცხადებს, მართალია, ცხენი მე გავყიდე, მაგრამ მე მომცა ამა-და-ამ კაცმაო, და ასახელებს ისეთ კაცს, რომელიც ორი-სამის წლის მკვდარია. წარადგენს ნაყიდობას, დამოწმებულს ისეთის კაცისაგან, რომელიც აგრეთვე რამდენისამე წლის მკვდარია. აი, ასე იძვრენენ თავს.

ამ სექტემბრის მოულოდნელმა სიცივეებმა ისეთი სუსხი დაჰკრა ლეჩხუმს, რომ 14-ს ამ თვეს დილის რვა საათამდე ყურძნის მტევნებზე პატარ-პატარა ყინვები იყო დაკიდებული. მეტის-მეტად დაზარალდა სიმინდები. ხალხს თითქმის იმედი აღარა აქვს სიმინდისა.

ლაჯანელი ბანოვანი

წერილი საჩხერიდან

საჩხერის მომავალი საქალაქო სასწავლებელი

21 სექტემბერს საჩხერეს მოვიდა შორაპნის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ნოვოსპასკი საქალაქო სკოლის შესახებ აქაურს საზოგადოებასთან მოსალაპარაკებლად. ამ სკოლის დაარსების ნება-რთვა სთხოვეს ზაფხულში ბ-ნ მზრუნველს. 22 ოქტომბერს ჩიხის საზოგადოების სამმართველოში შეიკრიბა საჩხერის საზოგადოება, უმთავრესად ვაჭრები: ქართველები, სომხები და ებრაელები. ბ-ნმა ინსპექტორმა შეკრებილს საზოგადოებას თარჯიმნის პირით გადასცა შემდეგი: 1) საქალაქო სასწავლებელი ოთხ-კლასიანი და ექვს-კლასიანია. ორივეში ერთი და იგივე პროგრამაა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოთხ-კლასიანს სასწავლებელს წელიწადში სჭირდება 4,670 მან., ექვს-კლასიანს 6,000 მან. მეტი. 2) ჯერ-ჯერობით საზოგადოებისათვის უფრო ადვილია ოთხ-კლასიანის სასწავლებლის დაარსება და მერე, როცა საქმე რიგიანად მოეწყობა, შეიძლება ეთხოვოს ბ-ნ მზრუნველს მისი ექვს-კლასიანად გადაკეთება. 3) ხაზინა წელიწადში 1,500 მანეთს მოგცემთ და 4) ადგილი და შენობა თქვენ უნდა შეიძინოთ, დროებით შენობა უნდა იქირავოთ და შემდეგ საკუთარ შენობისთვის იზრუნოთ. შენობა დაჯდება 8,000 მან.

საზოგადოებამ მოისმინა ბ-ნ ინსპექტორის წინადადება და სთხოვა დარჩენა 23-თვის, რომ ყველას მოეყარა თავი საქმის რიგიანად მოსაწყობად. ინსპექტორი დარჩა. ებრაელებმა ხარჯში მონაწილეობაზე, სიღარიბის გამო, უარი განაცხადეს. 23 სექტემბერს, დილის 11 საათზე, დაბის წარმომადგენელნი ნოტარიუსის დიმიტრი აბაშიძის წინამძღოლობით გამოცხადდნენ ინსპექტორთან. განუცხადეს თანხმობა სასწავლებლის დაარსებაზე და ერთად შეიმუშავეს განაჩენის დასადგენათ შემდეგი მუხლები: 1) ეთხოვოს მთავრობას გახსნას საჩხერეში ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი და მიეცეს მას ხაზინიდან შემწეობა ყოველ წლიურად 2,000 მანეთი. 2) იმათ შვილებს, ვინც ხარჯში მონაწილეობას მიიღებს, სასწავლო ქირა 14 მანეთი გადახდება წელიწადში, ხოლო სხვებს—20 მანეთი. 3) თუ ამ გადასახადიდან იმაზე ნაკლები ფული შემოვიდა, რაც სასწავლებელს უნდა, მაშინ დანაკლისს ფულს საზოგადოება შეავსებს და 4) შენობის ასაგებად გაიმართოს ხელისმოწერა. ამ დღესვე აღმოჩნდა ადგილის შემწირველი თავ. გ. დ. წერეთელი, რომელიც სწირავს ორ ქცევას და ხის მასალას.

ხაფუძლელი.

დაბა-სოფლები

სოფ. მაიდანი (იმერეთი). აქაურმა გლეხმა მურძაყან თეოდორეს ძე მიქაძემ სასიკვდილოდ დასჭრა რევოლვერით ამავე სოფლის მცხოვრები ვასილ ივანეს ძე ჯანგველაძე. საქმე ასე მომხდარა: ოც-და ორს სექტემბერს შექეიფიანებული მურძაყან მიქაძე გლეხის ვასილ ჯანგველაძის დუქანში შესულა და ღვინის სმა დაუწყია. მერე რაღაცაზე ჩხუბი მოსვლიათ. ვასილ ჯანგველაძეს ბოთლი დაუკრავს თავში, წაუქცევია და დაუწყია ცემა. წაქცეულ მიქაძეს ამოუღია რევოლვერი და უსვრია მარჯვენა თეძოში. მიქაძე დააპატიმრეს და გამოძიებასაც შეუდგნენ.

საჭიროა ადგილობრივმა პოლიციამ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს მაიდნის მედუქნეებს, სადაც ათასგვარი უწესოება ხდება.

◆

ძირაგეული (რაჭა). შარშანდელმა სეტყვამ და ცუდმა ამინდებმა მოგვისპო ჭირნახული, ასე რომ სამის თვის საზრდო ძლივს მოგვივიდა. ეს არ გვაკმარა ღმერთმა, წელსაც ისეთი ცუდი ამინდებია ჩვენკენ, რომ ნახევარის წლის საზრდო სიმინდი არავის მოუვა; პურის მოსავალი ხომ ძალიან ცუდი იყო. ვენახები დაგვისეტყვა; 8 სექტემბერს კიდევ მთები ჩამოსთოვა. სიმინდები მორთვილა და სულ ერთიანად გააფუჭა. ფუთი სიმინდი ჩვენკენ მანეთად და ექვს აბაზად ჰფასობს. უეჭველია, გაზაფხულზე შვიდ-რვა აბაზად გახდება.

ზედ ამ უბედურებას ქურდობაც დაერთო. ამ ბოლოს დროს რაჭაში ძალიან გახშირდა ცხენების და შინაურ საქონლის ქურდობა. სოფ. სადმელში ოზე შარაბიძეს მოჰპარეს სათიბში ცხენი; 11 აგვისტოს სოფ. ძირაგეულში დარისპან ბოჭორიშვილს მოჰპარეს დაბმული ცხენი; ამავე თვეში მეჯოგეებს მოჰპარეს ათი ცხენი. იჭვი მიიტანეს ორ მეგრელზე, რომელნიც საყიფიანოს მთაში სამუშაოდ არიან. დააპატიმრეს, მაგრამ ისევ გაუშვეს.

სვიმონ ბოჭორიშვილი

ზემო-ნიქოზი (ქართლი). ზემო-ნიქოზი ცხინვალიდან სამის ვერსის მანძილზეა დაშორებული. ეს სოფელი შეიცავს ას ორმოც კომლამდე გლეხს. მდებარეობით შუა ქართლში არა სოფელი არ შეედრება. გაშენებულია მაღლობზე, საიდანაც გადმოსცქერის გიჟ-მაჟ ლიახვს, ატეხილ ჭალებსა და აყვავებულ ბაღ-ვენახებს. ნიქოზიდან მთელი შუა ქართლი ხელის გულსავით გადაშლილია ადამიანის თვალ-წინ თითქმის ყველა გლეხს უდგია ქვიტკირის სახლი, ჯვრით

დასურული. აქვს სახნავ-სათესი მიწები და ვენახები.

უწინდელ დიდ ოჯახებს ნიქოზში ვეღარ შეხვდებით: ძმა-ძმასთან არა დგება, შვილი დაჩანანაგებულ მამასთან, ეურებიან ერთმანეთს, იყოფენ სარჩო-საბადებელს და განმარტოვებულნი სცხოვრობენ. ამას გარდა, ვერა ჰნახავთ გლეხს, რომ ცხინვალელ ებრაელის ან სომხისა ერთი ათი თუმანი მაინც არ ემართოს. ჩვენი გლეხი ფულად ვერ აძლევს და მოსავალზე უთითებს: „შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ მიჩივლებ და აგერ მ კალოობას ან რთველობას გაგისწორდები“-ო. ჩარჩებიც, მოახლოვდება თუ არა კალოობა ან რთველი, გადასხდებიან თოხარიკა ცხენებზე და დატანტალებენ სოფელ-სოფელ. გლეხები ამათ „ნესტოიკა-ვიჩეტებს“ უნდებიან სიკვდილამდე. ბევრი ვალი სამჯერ და ოთხჯელ არის გასტუმრებული, მაგრამ გლეხი მაინც იხდის ფულს...

ნიქოზელებს არ გააჩნიათ ტყე და მცხოვრებნი მთელ ზამთარს ვენახებში ხეხილებს, კალებს სჭრიან და იმით გამოდიან; ვისაც ცოტა შეძლება აქვს, ის ცხინვალში ყიდულობს შეშას. ჩვენი თავი-და-თავი ნაკლი უწყლობაა, რომლის გამო ზამთარ-ზაფხულს დიდ-გაჭირვებას იტანენ აქაურები. ზ. ნიქოზელებს ჩამოუდით, 15 ვერსის სიშორიდან (ს. კეხვის თავიდან) ლიახვის ტოტი. ეს რუ მომდინარეობს სოფლებზე და სიბინძურით სავსე ჩვენ სოფელში ჩამოდის. ზაფხულში სანახიროს აგრილებენ, მთელი დღე დორ-კამბეჩები ჭურიან შიგა, ამატომ ხშირად ხან ერთი, ხან მეორე სენი იჩენს ხოლმე თავს. შარშან ზამთარში მუცლამ თვრამეტი კაცი გამოასალმა წუთი-სოფელს, წელს კიდევ ციებ-ცხელებამ გააჭირვა საქმე მცხოვრებთ. ზაფხულში, როდესაც გიჟი ლიახვი მოვარდება, გადარამავს გამაგრებულ ადგილს და ცვარი წყალი არსად გაგვაჩნია ხოლმე. ხშირად სამუშაოს სცდებიან გლეხები და კოდზე კაცი მიდის ხელმეორედ ტოტის გადმოსაგდებათ. ზამთარში კი, როდესაც რუ იყინება, გლეხები თოვლს ადნობენ და იმას სმენ. აქაური მოძღვარი ალ. კასრაძე დაჰპირდა, უეჭველათ ვითავებ და ტბეთიდან გამოვაყვანებ წყაროსაო. თუ გაამართლა დანაპირევი, დიდის მადლობის ღირსი იქნება ჩვენი მოძღვარი.

ეს მესამე წელიწადია, რაც ჩვენ სოფელში დაარსდა სკოლა. ბ-ნმა ი. ლომსაძემ დაუთმო სკოლას ერთი დიდი ოთახი თავის ავეჯეულობით და მასწავლებლადაც თითონვე გამწესდა. მასწავლებელმა მშვენიერი ხორო მოაწყო, რომელსაც კვირა-უქმეობით აგალობებს წირვაზე. ეკლესია ამის გამო სავსეა ხოლმე მლოცველებით.

ცოტა რამ ეკლესიის შესახებაც. 1889 წელს სობორო, რომელიც ვახტანგ გორგასლანის მიერ არის აშენებული, გამშვენიერებულ იქნა, მაგრამ დღეს იგი ხელმეორედ საჭიროებს შეკეთებას; წვიმა თავისუფლათ ჩამოდის, სახურავზე კრამიტი აღარ ახურავს და თუ არ შეაკეთებენ, შესაძლებელია ჩამოინგრეს კიდეც.

რეზუსი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 სექტემბერი

პეკინი. მანჯურია მდინარე ლიაოს სამხრეთით, კონვენციის თანახმად, დაუბრუნდა ჩინელებს.

ტომსკი. დღეს გაიხსნა პირველი სასტატო ინსტიტუტი ციმბირში.

სარატოვი. ხალხის გამოსაკვებ თანხის 840,000 მანეთის გარდა საგუბერნიო საკრებულო თხოულობს თესლის შესაძენად 635,000 მ. და საზოგადო სამუშაოებისათვის 325,000 მანეთს.

სუმი. მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. ტაძარში დაჰხვდა მაღალყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე.

პარიზი. როგორც ისმის, მინისტრ-პრეზიდენტმა დეპეშით აცნობა იმ თორმეტ დეპარტამენტის პრეფექტს, სადაც ქვა ნახშირას მადნების მუშები გაიფიცნენ, ჯარი მოიშველიონ.

ვენა. „ნეიე ფ. პრეს“ იუწყება, რომ მთავრობას ჰსურს შეიტანოს რეიხსტაგში კანონპროექტი ჯარის გადიდების შესახებ.

სოფია. ერთს გაზეთში დაბეჭდილია რილის მონასტრიდან მიღებული ამბავი, რომ პოლკოვნიკი ნიკოლოვი ქადაგებს აჯანყებას მთელ მაკედონია-ბოლგარიის მოსაზღვრე ადგილებშიო. ამავე გაზეთის სიტყვით, ჯუმაის მხოლობლად შეტაკებებია. სხვათრივ ეს ამბავი არა მტკიცდება.

ლონდონი. გაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ ბურთა გენერლებს აუდიენცია დაენიშნათ.

ლონდონი. ოქსფორდის უნივერსიტეტმა პროფესორ მარტენს აკუთვნა სამოქალაქო უფლებათა დოქტორობა.

27 სექტემბერი

სახალინი. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის სანაოსნო საზოგადოების გემი „გირინ“-ი, რომელიც დადის ვლადივასტოკსა და კამჩატკის შუა პეტრეპავლოვსკ-გიჟიტაოხოცკის გზით, დოკტორის სლიუნინის წინადადებით, ალექსანდროვსკში დაბრუნდა თათრის სრუტეთი; ამ გზით გემი 6 საათით უფრო ადრე დაბრუნდა.

სოფია. გრაფი იგნატიევი რუსეთში წავიდა. სადგურამდე გააცილეს: მთავრის წარმომადგენელმა, მინისტრებმა, ქალაქის თავმა, მოსწავლეებმა და ხალხმა.

ფრანკფურტი-მაინზე. გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ, რომ სულთანმა გამოსცა ბრძანება, რომლით მტკიცდება სადამოუნო სესხის კონვერსიის პირობები, რომელიც შეიმუშავა ოსმალეთის ბანკმა; ბანკს კი ამის შესახებ ჯერ ოფიციალური ცნობა არ მიუღია.

ლონდონი. შუადღეზე დასრულდა ხელის მოწერა იაპონიის სესხზე 5000000 იენისა.

ვლადივასტოკი. 26 სექტემბერს ჩამოვიდა ფინანსთა მინისტრი. მოსკოვიდან ის მოდიოდა 15 დღე და ღამეს, ამასთანავე გზაში ჩერდებოდა რკინის გზის დასათვალიერებლად. ამ ჟამად სამგზავრო მატარებელს შეუძლიან ეს გზა $12^1/_2$ დღე-ღამეს გაიაროს. ხოლო როდესაც დამთავრდება ბაიკალის რკინის გზა, მაშინ მთელ გზას მატარებელი გაივლის 10 დღე და ღამეს.

პალტავა. კრემენჩუგის სამაზრო ერობამ 24000 მანეთი გადადო სახელოსნოს გაკეთებისათვის და 8000 მანეთი ყოველ-წლივ მის შესანახად.

პეტერბურგი. უმთავრეს შტაბის პოლკოვნიკი სიმონსკი შეუდგა 38 ქვეითა ტობოლის პოლკის ისტორიის შედგენას და სთხოვს ყველას, ვისაც ცნობები ან საბუთები აქვს ამ პოლკის შესახებ, გაუგზავნოს ამ ადრესით: მოსკოვი, გრენადერთა პირველ დივიზიის შტაბში სიმანსკის.

რუსეთის ელჩი პორტუგალიაში ჟადოვსკი დაინიშნა ელჩად შვეიცარიაში; სადიპლომატო აგენტი ეგვიპტეში კოიანდერი დაინიშნა ელჩად პორტუგალიაში; ელჩი ბავარიაში გირსი დაინიშნა ელჩად რუმინიაში; ელჩი შვეიცარიაში ვესტმანი დაინიშნა ელჩად ბავარიაში.

სტატს-სეკრეტარის თანაშემწე გურკო დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

კიევის პოლიტეხნიკუმის პროფესორი კონოვალოვი დაინიშნა ამავე ინსტიტუტის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 სექტემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,35	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე „	46,25	
პარიზზე „	37,60	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$97^1/_8$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$99^1/_2$	„
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$467^1/_2$	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$355^1/_2$	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$290^3/_4$	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$87^1/_2$	„
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^1/_2$	„
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	85	„
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$89^1/_2$	მყიდვ.
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	185	გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ (7 ს. 43 წ:); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ.(ს.28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპანისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა-სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონრინ“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს.

(ნ. 25—18(.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბადის ყურში.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

და

სახელოსნო სკოლაში

იღებენ ყოველ გვარ ხელსაქმეს: კაბებს როგორც დიდებისას, აგრეთვე ბავშებისას, თეთრეულს, ქარგვას, სხვა-და-სხვა ხელოვნურ ხელსაქმეს და საცვლებზე ამოჰკერვენ ნიშნებს (МѢТКИ). **ბარონის ქუჩა № 12.**

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

განცხადებანი

ქ. ოზურგეთში

ნატანების ქუჩაზედ

იყიდება სამი ქცევა სამოსახლო მიწა ხეხილებით მოშენებული. პირობათა შეტყობა შეიძლება ოზურგეთში ელისაბედ ტილურაძესთან. (4—4)

ტფილისის ვაჭართა მამასახლისის ამხანაგი

ი. ა. შალინოვი

სთხოვს ტფილისის ვაჭართ მობრძანდნენ **საზოგადო კრებაზე**, რომელიც დანიშნულია კვირას, 6 ოქტომბერს, დილის 11 საათზე **ვაჭართა მამასახლისის კამერაში**, სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე, № 12, მანთაშევის სახლის გვერდით; **კრებამ უნდა განიხილოს:** იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც დაევალა ტფილისის ვაჭართა მამასახლისის იგორ ივანეს ძის დავიდოვის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეის მოწყობა.

ვაჭართა მამასახლისის ამხანაგი **ი. შალინოვი**

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).